პრეს რელიზი / ინფორმაცია მედია კომუნიკაციისთვის

შოთას და დანარჩენ 99 მოსწონს ეს

სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი

დოკუმენტური ფილმი "shota & 99 others like this" ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტია რომლის გადაღებები აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს

ფილმის ენაა, ქართული გერმანული და ინგლისური.

დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირი, გერმანელი ლინგვისტი ემინე შაჰინგოზია, რომელმაც 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე ვეფხისტყაოსნის კითხვის მარათონში მიიღო მონაწილეობა და "ვეფხიოსტყაოსანი" ოსურ ენაზე წაიკითხა.

ემინე გერმანიაში, თურქი მიგრანტების შთამომავალია, მისი ფესვები კი კავკასიურია. სწორედ ამიტომ მისი ინტერესი საქართველოსადმი და ვეფხისტყაოსნისადმი ძლიერია. ის ოსი მოჰაჯირების შთამომავალია და საფუძვლიანად სწავლობს კავკასიურ ენებს.

დოკ. ფილმი ჩვენი ქვეყნის ერთგვარი პორტრეტია, როგორც რუსთაველის მემკვიდრე ქვეყნის. რამდენად ვატარებთ ვეფხისტყაოსნის ფასეულობებს დღეს ჩვენში, მხოლოდ მზითევში გამოტანებული წიგნია, რომელსაც ბავშვებს ვასწავლით სკოლაში თუ დღემდე ვცოცხლობთ იმ ფასეულობებით, რაც თავის დროზე შოთა რუსთაველმა გვიანდერძა.

თემები:

გენდერულ თანასწორობას და ქალის როლს საქართველოში, როგორც თამარის ეპოქაში ასევე დღეს.

რელიგიურად ტოლერანტული და მულტიკულტურული საქართველო

მთავარი გმირი, საქართველოს, როგორც ძლიერი ქალების, ასევე ღია და საინეტერსი ქვეყნის ჭრილში ხედავს, რომელსაც ბევრი აქვს მოსაყოლი დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ფორმატი ძალიან თანამედროვე და ინტერაქტიულია, ნაჩვენებია ვეფხისტყაოსნის, როგორც ლიტერატურული საგანძურის ფენომენი, ასევე მისი მიმართება ინტერაქტიული ფორმატებთან - როგორია ვეფხისტყაოსნის მომავალი ინსტაგრამის და ტიკ-ტოკის ეპოქაში.

ემინე საქართველოში მოგზაურობს, ხვდება ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს.

"როცა ვეფხისტყაოსანზე ვესაუბრები, ქართველებს მაშინვე თვალები უბრწყინავთ და ვეფხისტყაოსნის აფორიზმებით იწყებენ საუბარს, იქნება ეს ბაზარში თუ ღამის კლუბში" ამბობს ემინე.

საბაზისო ინფორმაცია:

ჟანრი: დოკუმენტური,

ქრონომეტრაჟი: სრულმეტრაჟიანი 1:20 წთ

ფორმატი: 6K / Red Comodo

ფილმის ენა: ქართული, გერმანული, ინგლისური

მთხრობელი: მთავარი გმირი, Emine Sahingöz

მწარმოებელი სტუდია: საავტორო ფილმების სტუდია

მხარდამჭერები: ეროვნული კინოცენტრი

რეჟისორი: ერეკლე ინაშვილი

სცენარის ავტორები: ზურაბ ინაშვილი, ერეკლე ინაშვილი

თარიღები და თემები :

- დასრულებულია I და II გადასაღები ფაზები (მაისი ივლისი 2022) დარჩენილია III გადასაღები ფაზა (ნოემბერი 2023)
- დაწყებულია: პოსტ-პროდუქცია, მონტაჟი (სექტ 2022 სტატუსით)
- დაგეგმილია: ფერის კორექცია, ხმის მიქსი, საუნდ დიზაინი (სექტ 2022 სტატუსით)

web: rustaveli-film.ge. I **Social Media:** facebook.com/rustaveliscountry